წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

ქ. წყალტუბო

-- მაისი, 2026 წელი

ქალაქ წყალტუბოში მდებარე ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიის მოწყობისათვის ნებართვის საფასურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად

1. ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სივრცის გამოყოფის (დაჯავშნის) ერთჯერადი საფასური, არაუმეტეს 3 (სამი) საათის ვადით, განისაზღვროს:

ა) **ქორწინების რეგისტრაციის (ხელისმოწერის) ან ხელის თხოვნის ცერემონიისათვის** — 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

ბ) **სხვადასხვა ღონისძიების გამართვისათვის** — 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისგან გათავისუფლდეს ყოველი წლის 1 ივნისს (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს) ბავშვების მონაწილეობით გასამართი ნებისმიერი სახის კულტურული, გასართობი თუ საგანმანათლებლო ღონისძიება.

3. დამტკიცდეს „ტერიტორიის გამოყოფისა და ღონისძიებათა გამართვის წესი და პირობები“ (დანართი №1).

4. დამტკიცდეს „განაცხადის ფორმა ღონისძიების გამართვის შესახებ“ (დანართი №2).

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს.

6. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №g49.49220562 განკარგულება.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, მისი მიღებისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა: ა. ზვიადაძე

შეთანხმებულია: მ. ჭელიძე

ბ. ნადარეიშვილი

გ. ყურაშვილი

დანართი №1

ტერიტორიის გამოყოფისა და ღონისძიებათა გამართვის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის კულტურული, სადღესასწაულო, საოჯახო და სხვა მასობრივი ღონისძიების (მათ შორის: ხელისმოწერა, ხელის თხოვნა, ფოტოსესია, ვიდეოგადაღება, საიუბილეო აქტივობა) გამართვისათვის სივრცის გამოყოფის (დაჯავშნის), გამოყენებისა და მოწყობის პირობებს.

2. სივრცის მოწყობაში იგულისხმება ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, დროებითი კონსტრუქციების, დეკორაციების, თაღების, სცენის, განათების, აუდიო-ვიდეო აპარატურის, მაგიდების, სკამებისა და სხვა საჭირო ინვენტარის მონტაჟი (განთავსება), აგრეთვე ღონისძიების დასრულების შემდეგ აღნიშნული ინფრასტრუქტურის სრული დემონტაჟი და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება.

3. ტერიტორიის გამოყოფის მიზანია პარკისა და „ცივი ტბის“ ინფრასტრუქტურის, მწვანე ნარგავებისა და ეკოლოგიური გარემოს დაცვა, აგრეთვე კულტურული და სადღესასწაულო აქტივობების ორგანიზებული მართვა.

მუხლი 2. სივრცის გამოყოფის (დაჯავშნის) წესი და საფასური

1. ღონისძიების გამართვის მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი (შემდგომში – განმცხადებელი) ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს განაცხადი (დანართი №2) ღონისძიების გამართვამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით აცნობოს მუნიციპალიტეტს და წარადგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). ობიექტური ან გადაუდებელი გარემოებების არსებობისას, შესაძლებელია ღონისძიების გამართვა აღნიშნული ვადის დაცვის გარეშე, საფასურის დაუყოვნებლივ გადახდისა და შეტყობინების წარდგენის პირობით.

2. განაცხადს უნდა დაერთოს ამ განკარგულებით დადგენილი ერთჯერადი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი):

ა) **ქორწინების რეგისტრაციის (ხელისმოწერის) ან ხელის თხოვნის ცერემონიისათვის** — 200 (ორასი) ლარი;

ბ) **სხვადასხვა ღონისძიების გამართვისათვის** – 100 (ასი) ლარი.

3. საფასურის გადახდა ხდება მუნიციპალიტეტის შესაბამის საბანკო ანგარიშზე -

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა: 101001000

სახაზინო კოდი: 300253282

საფასური წარმოადგენს ერთჯერადს და მოიცავს არაუმეტეს 3 (სამი) საათის პერიოდს.

4. მერიის მხრიდან თანხმობის გაცემის შემდეგ, განმცხადებლისთვის ხდება კონკრეტული სივრცის გამოყოფა და შესაბამისი დროის მონაკვეთის, არაუმეტეს 3 (სამი) საათის ვადით, დაჯავშნა.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები და შეზღუდვები

1.გამოყოფილ ტერიტორიაზე ღონისძიების გამართვისას განმცხადებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და დასუფთავების ნორმები;

ბ) ღონისძიების დასრულებისთანავე მოაწესრიგოს და პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნოს გამოყოფილი სივრცე;

გ) არ დააზიანოს მწვანე ნარგავები, გაზონები, საპარკე ავეჯი და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა.

2. გამოყოფილ ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) მწვანე საფარზე (გაზონზე) მძიმე კონსტრუქციების ან სატრანსპორტო საშუალებების განთავსება მერიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;

ბ) ხე-მცენარეებზე ნებისმიერი საგნის ან კონსტრუქციის იმგვარი დამაგრება, რაც იწვევს მათ დაზიანებას;

გ) გარემოს დაბინძურება და ისეთი აპარატურის გამოყენება, რომელიც აჭარბებს ხმაურის დასაშვებ ნორმებს.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა, სანქციები და ზიანის ანაზღაურება

1. მუნიციპალური ქონების, მწვანე ნარგავებისა და ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში, მიყენებულ ზიანს აფასებს მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი ორგანო, რის შემდეგაც განმცხადებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დადგენილი საფასურის გადაუხდელობის ან/და სივრცის უნებართვოდ დაკავების (გამოყენების) შემთხვევაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური ახორციელებს სამართალდამრღვევი პირის დაჯარიმებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{6}-ე მუხლის (ან მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული შესაბამისი მუხლის) საფუძველზე.

3. ამ წესის დარღვევისათვის სამართალდამრღვევად (პასუხისმგებელ პირად) მიიჩნევა ღონისძიების ორგანიზატორი, მასზე პასუხისმგებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ან უშუალოდ ქმედების განმახორციელებელი.

დანართი №2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ტერიტორიის გამოყოფისა და ღონისძიების გამართვის შესახებ

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ:

სახელი, გვარი / იურიდიული პირის დასახელება: _____

პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: _____

ფაქტობრივი მისამართი: _____

საკონტაქტო ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

2. ინფორმაცია დასაგეგმი ღონისძიების შესახებ:

ღონისძიების ტიპი (მონიშნეთ შესაბამისი):

o ქორწინების რეგისტრაციის (ხელისმოწერის) ცერემონიის მოწყობა

o ხელის თხოვნის ცერემონიის მოწყობა

o სხვა ცერემონიის (მიუთითეთ): _____

მოთხოვნილი ლოკაცია:

წყალტუბოს ცენტრალური პარკი (კონკრეტული ზონა/ადგილი): _____

„ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორია (კონკრეტული ზონა/ადგილი): _____

ღონისძიების გამართვის თარიღი: _____ წელი.

ღონისძიების ხანგრძლივობა (საათები): _____-დან _____-მდე.

მონაწილეთა/სტუმართა სავარაუდო რაოდენობა: _____ ადამიანი.

3. ტექნიკური აღჭურვილობა და დეკორაცია:

გამოსაყენებელი დეკორაციები/კონსტრუქციები (თაღი, სკამები და სხვა): _____

ხმოვანი ან განათების აპარატურა (არსებობის შემთხვევაში): _____

4. თანდართული დოკუმენტაცია:

განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი)

ერთჯერადი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი

სხვა დამატებითი დოკუმენტი (საჭიროებისამებრ).

განმცხადებლის განცხადება და ხელმოწერა:

„ვადასტურებ, რომ გაცნობილი ვარ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებულ ტერიტორიის გამოყოფისა და ღონისძიებათა გამართვის წესებსა და პირობებს. ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, მწვანე ნარგავებისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ხელშეუხებლობაზე, აგრეთვე ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებაზე. თანხმობას ვაცხადებ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოცემული განაცხადის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით დაამუშაოს სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ წელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826145154**
თარიღი: **25/05/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

ბოლო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, კურორტი წყალტუბო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა როგორც ტურისტებისთვის, ისე ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის. ქალაქის ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი ღონისძიება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიის გამართვისათვის სივრცის გამოყენება გახდეს ფასიანი. კერძოდ, ქორწინების რეგისტრაციის (ხელისმოწერის) ან ხელის თხოვნის ცერემონიისათვის დაწესდეს საფასური - 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვადასხვა ღონისძიების გამართვისათვის განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

გიგზავნით განკარგულების პროექტს ,,ქალაქ წყალტუბოში მდებარე ცენტრალურ პარკსა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიის მოწყობისათვის ნებართვის საფასურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული პროექტი და ძალადაკარგულად გამოაცხადოთ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ“ 2022 წლის 25 თებერვლის №g49.49220562 განკარგულება.

დანართი: „ 6 “ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge